

მე-5 კლასი

არითმეტიკა

1. (4 ქულა) A არის უდიდესი კენტი ოთხნიშნა რიცხვი, რომლის ციფრებიც განსხვავებულია. B არის უდიდესი ლუწი ოთხნიშნა რიცხვი, რომლის ციფრებიც განსხვავებულია. იპოვეთ $A + B$.

- ა) 19 395 ბ) 19 751 გ) 18 651 დ) 15 678

2. (4 ქულა) გემზე ყოველ ნავსადგურში 90 მგზავრი ამოდიოდა, 16 მგზავრი კი გემიდან ჩადიოდა. რამდენით გაიზრდება გემის მგზავრების რიცხვი მე -6 ნავსადგურში მისვლამდე?

- ა) 74 ბ) 444 გ) 370 დ) 270

3. (9 ქულა) დედამ ტელეფონში გადაიხადა ხელფასის მეხუთედი ნაწილი, ხოლო ტელევიზორში დარჩენილი თანხის ნახევარი. რას უდრის დედის ხელფასი, თუ მათი ყიდვის შემდეგ დედას დარჩა 500 ლარი?

- ა) 1000 ლარი ბ) 1200 ლარი გ) 1250 ლარი დ) 1100 ლარი

4. (10 ქულა) უცნობი რიცხვი გაადიდეს 100-ჯერ, მიუმატეს 50 000, მიღებული შედეგი გააყვეს 12-ზე და მიიღეს 9600. იპოვეთ უცნობი რიცხვი.

- ა) 650 ბ) 652 გ) 340 დ) 500

გეომეტრია


5. (5 ქულა) წრეწირის დიამეტრის მესამედის სიგრძე 16 სმ-ია. იპოვეთ წრეწირის რადიუსი.

- ა) 32სმ ბ) 24 სმ გ) 48სმ დ) 22სმ

6. (7 ქულა) ხუთკუთხა პირამიდის ყველა წიბო ტოლია. რა სიგრძისაა თითოეული, თუ ყველა წიბოს ჯამია 90 სმ.

- ა) 10 სმ ბ) 9 სმ გ) 18 სმ დ) 20 სმ


7. (8 ქულა) იპოვეთ x კუთხის გრადუსული ზომა.



- ა) 30 ბ) 60 გ) 40 დ) 80


ლოგიკა

8. (3 ქულა) 5 ერთნაირ წიგნსა და 3 ერთნაირ რვეულში იმდენივე გადაიხადეს, რაც 4 ისეთივე წიგნსა და 4 ისეთსავე რვეულში. რა უფრო ძვირია წიგნი თუ რვეული?



- ა) წიგნი ბ) წიგნის და რვეულის ფასი ტოლია გ) რვეული დ) ამის გაგება შეუძლებელია.

9. (3 ქულა) ნიკოლო 12 წლისაა, ხოლო მამა მასზე ოთხჯერ უფროსია. რამდენი წლის იქნება მამა, როცა ნიკოლოს შეუსრულდება 21 წელი?



- ა) 57 ბ) 36 გ) 84 დ) 42

10. (4 ქულა) პირველი რიცხვი 28-ით მეტია მეორეზე. ხოლო მესამე რიცხვია 12. ცნობილია, რომ მესამე რიცხვის ნამრავლი პირველი და მეორე რიცხვების ჯამზე ტოლია 360 -ის. იპოვეთ პირველი რიცხვი.

ა) 29

ბ) 1

გ) 12

დ) 9